# სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 აპრილი 2006 №85 (2707) ფასი 50 თეთრი


# ცირეკიძემ ჩამპერე განაცხადა



ირაკლი ცირეკიძე და არა ზურაბ ზვიადაური! ლისაბონის ტურნირმა ბევრ კითხვას გასცა პასუხი და ევროპის ჩემპიონატის წინ გასარკვევიც აღარაფერი დარჩა. ტამპერეს ევროტატამზე ის გავა, ვინც ლისაბონში თავი კონკურენტზე მეტად გამოიჩინა. ჰოდა, სადავოც არაფერი უნდა იყოს, 90 კილოგრამში ცირეკიძემ ფინალს უწია და იქ ის ესპანელი დავიდ ალარზა წააქცია, რომელმაც ნახევარფინალში ზვიადაური დაგვიმარცხა. გამოდის, ოლიმპიური ჩემპიონი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს.

ისე კი, პორტუგალიიდან მხოლოდ ცირეკიძეს მოაქვს ოქრო მიუხედავად იმისა, რომ ფინალში კიდევ სამმა ქართველმა იჭიდავა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

# საკაშვილის საფეხბურთო პრეზიდენტიფიკაცია

ბადრი ჯელელაძის ფოტო

## პრეზიდენტმა ცოცხალი თამაში ცოცხლად ნახა

სავსე ტრიბუნები, გულიანი ქომაგობა, ხასხასა მოედანი, სატურნირო ინტრიგა — მეტი რა არის საჭირო, ფეხბურთელებმა მონდომებით რომ ითამაშონ?! მაგრამ თუკი იმ გადავსებულ ტრიბუნაზე მსხდომთაგან ერთ-ერთი თვით ქვეყნის პრეზიდენტია, მატჩს მორიგი ნამდვილად აღარ ეთქმის. შაბათს „ბორჯომსა“ და „ამერს“ მძიმე მისია დაეკისრათ: მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს ჩემპიონატი ისე უნდა წარმოეჩინათ, საერთოდ არ დაჰკარგვოდა ქართული ფეხბურთის მიხედვის სურვილი. ნამატჩევს პრეზიდენტის მადლობა მოგებულმა მასპინძელმა და წაგებულმა სტუმარმა ერთნაირად დაიმსახურეს.

სხვა შვიდ სტადიონზე კი გამორჩეული არაფერი მომხდარა — მოიგო იმან, ვისაც მოგება უფრო მეტად სჭირდებოდა და გათამაშების ცხრილსაც ძველებურად ბოლნისის „სიონი“ ყოჩობს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გლობალური საინფორმაციო

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა** **მეორე წრე** **25 ტური**

ვაჟიკა ფიფიაშვილის ფოტოები

თამაში თუ დიდი ვერაფერი, ლადო ბურდულის (მარცხნივ) გოლი მართლა ერთ რამედ ღირდა

ახალბედა ტორპედოელმა გიორგი გურულმა „დინამო“ ამ გოლით დაამწუხრა

# რაღა დროს კლასიკოა

## დინამომ და ტორპედომ ვაკეში ბურთი გააგორეს

თბილისი. 15 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

### დინამო 2:1 ტორპედო

0:1 გურული (8), 1:1 ბურდული (12), 2:1 დვალი (32)

**დინამო:** სტურუა, შაშიაშვილი, ნავალოვსკი, გიგაური, ორბელაძე, ამბროზიო, ს. კობახიძე, ლ. ბურდული (გ. მერებაშვილი 55), ვ. დარასელია (ლ. ნოზაძე 67), ჯ. დვალი, ახალაია (მ. ბობოხიძე 77)
*სათადარიგონი:* ლორია; ქემოკლიძე, გ. თომაშვილი, ვანაძე
**მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი

**ტორპედო:** ჭურაძე, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ყიფიანი, ა. კვერნაძე (დარსანია 60), კორღალიძე, დოღონაძე, გურული (ხურცილავა 69), მ. ღონღაძე, რ. კვერნაძე (ლაღაძე 60)
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ი. კობახიძე, გორგოძე, რ. კაშია
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. გურგენიძე, ხ. გაგნიძე

**დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია

**კოგა ინასარიძე**

**იყო** დრო, „დინამო“ — „ტორპედოზე“ ლაპარაკი მატჩამდე ერთი კვირით ადრე იწყებოდა და ერთი ამდენიც მერე გრძელდებოდა. ქომაგობა ამ თამაშის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდა და თუ „ეროვნულზე“ ათი ათასამდე მაყურებელი იკრიბებოდა, ქუთაისის სტადიონი იმ კარგ დროს პირთამდეც ივსებოდა. ქართული კლასიკო — ასე მოინათლა ამ მოქიშპეთა შეხვედრები და მატჩებიც ისეთი დაძაბული და საინტერესო გამოდიოდა, ამის ცქერა მართლაც ერთ რამედ ღირდა.

ახლა კი... ახლა მსგავსიც არაფერი. ეს „დინამო“ — „ტორპედოც“ ისეთივე ჩვეულებრივი და უინტერესო გამოვიდა, როგორიც ბევრი სხვა. აბა, რა უნდა ვთქვათ მატჩზე, რომლის მეორე ტაიმში ხეირიანი შეტევაც არ გვინახავს და კარშიც სულ ორჯერ დაარტყეს, ორჯერვე ეს „დინამომ“ გააკეთა და ორივე ერთადერთი სახიფათო მომენტისას.

მატჩი კი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გოლით დაიწყო: მე-8 წუთზე ანგარიში „ტორპედოს“ ახალბედა გიორგი გურულმა გახსნა, რომელმაც მარჯვნიდან არმაზ დოღონაძის დაბალი ჩაწოდებისას კარის წინ ადგილი ზუსტად შეარჩია და გაიტანა კიდეც.

„დინამომ“ მეტოქეს სიხარულის მონელება არ აცალა და გურულის გოლიდან ოთხ წუთში, გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, დიდი ფეხბურთის ფრაგმენტი გვანახა: ცენტრის ხაზიდან მეტოქის კარისკენ სიჩქარეაკრეფილ ლადო ბურდულს საჯარიმოს ხაზთან ვიტალი დარასელიამ ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან დააწია. ორმცველს შუა ლადომ ბურთი მკერდით გაისწორა და ძირსდაუშვებლად, გარე ტერფით მეკარეს თავზე გადაუგდო. ბურთი შორეულ ცხრიანში ჩაეშვა. თავის პასიანად ულამაზესი გოლი იყო...

შემდეგი ოცი წუთი მეტოქეებს ერთმანეთი აღარ შეუწუხებიათ, უპირატესობა „დინამოს“ ჰქონდა, თუმცა ლადო ბურდულის მორიგ გაბრწყინებამდე მოედანზე აღსანიშნი არაფერი მომხდარა.

„დინამოს“ მეორე გოლისას კი ბურდულმა ასისტენტობა იკისრა. საგოლე პასამდე მარჯვენა ფლანგზე ლადომ „ტორპედოს“ სამი მცველი ნაირნაირი ფინტებით ჩამოიშორა, ხოლო დანარჩენი ჯაბა დვალმა გააკეთა — ფორვარდმა ბურთი ტანით დაფარა, კარისკენ შეტრიალდა და ზუსტადაც დაარტყა. ასე დაწინაურდა „დინამო“ და სათავისო ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნა.

შესვენებამდე „ტორპედო“ ლადო ახალაიამაც დააფრთხო, შორიდან ძლიერად და სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ სერგო ჭურაძემ იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ტაიმის ბოლო წუთზე კი გიორგი ყიფიანს საჯარიმოდან დარტყმული ზვიად სტურუამ არ გაატანინა.

ტაიმიც დამთავრდა და მერე ის 45 წუთიც ვნახეთ, მეტოქეებს დარიანი ბურთი ფეხებზე ეკიდა, ოღონდ ეს ბურთი ბოლოს ბოლოს ბადეში ვერ ჩავარდა. ბურთი ბადეში ბოლოს ბოლოს „ტორპედოს“ ბოლო ტაიმში ჩავარდა, ოღონდ ეს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბენერალური საინსური

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 25 ტური

# ვარჯიში ომის წინ

## ვიტ ჯორჯია მცხეთაში, ფიქრებით ბოლნისში

მცხეთა. 15 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 2:0 სპარტაკი

1:0 გელაშვილი (45), 2:0 იმედაშვილი (84)

| ვიტ ჯორჯია: | სპარტაკი: |
|---|---|
| მიქაბერიძე, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, დ. ლომაია, გველესიანი, იმედაშვილი, გ. დათუნაიშვილი (ცხომარია 86), დიღმელაშვილი, ღუჭაშვილი (ბერიაშვილი 59), ფეიქრიშვილი, გელაშვილი (კლიმიაშვილი 75) | ნაფეტვარიძე, გაგნიძე (მ. ლობჟანიძე 67), ჯანგიძე, იმნაიშვილი, ხუბუა, მაისაშვილი, თ. მჭედლიშვილი (ელიზბარაშვილი 76), ილ. მოდებაძე, ჯიბლაძე, მუშკუდიანი, დანელია (ურუშაძე 57) |
| *სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი; კვაღინიძე, გ. მელქაძე, ებანოიძე | *სათადარიგონი:* ღაძაძე; კობალაძე, ტაბუცაძე, ხარაიშვილი |
| მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე |

გაფრთხილება: მიქაბერიძე (67)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ყრუაშვილი; ბ. ჭიჭინაძე

დამკვირვებელი: ბ. მჭედლიშვილი

**ილია ნანობაშვილი მცხეთიდან**

**უეჭველი** თამაშიო, ტოტალიზატორის ენაზე რომ იტყვიან, ზუსტად ასეთი იყო მცხეთაში. იურიდიულად თუ ვიმსჯელებთ, უეჭველი მაშინაა, ბოლოს ოქმში რომ წერია, მაგრამ თავად „სპარტაკის“ ფეხბურთელებსაც რომ არანაირი იმედი არა აქვთ ქულის, აბა, რა დავარქვათ?! „სპარტაკი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც გავარდნას უკვე შეეგუა და მათმა მწვრთნელმა ჯუმბერ აბაშიძემ აღიარა კიდეც, მორჩა ჩვენი უმაღლესლიგელობაო.

მაყურებელი „ვიტ ჯორჯიას“ სწრაფ გოლს (ან სულაც გოლებს) ელოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად — ბურთი არა და არ შედიოდა დავით ნაფეტვარიძის კარში, ხან ვიტელები უზუსტობდნენ, ხან ნაფეტვარიძე თამაშობდა კარგად, თანაც ოღროჩოღრო მინდორი შველოდა აუტსაიდერს. ერთიცაა: ძნელია სრული მობილიზებით ითამაშო ფეხზე ცხვარგამობმულ გუნდთან, როცა ოთხ დღეში ჩემპიონატის უპრინციპულესი, ფაქტობრივად, ოქროს მედლების გადამწონი მატჩი გელის — ჰოდა, „ვიტ ჯორჯიაც“ თავშენახულად უტევდა „სპარტაკს“, რამაც ცოტა ანერვიულა მათი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე...

ის იყო, გუნდები შესვენებაზე უნდა გასულიყვნენ, რომ ალექსანდრე კვახაძემ დაახლოებით 70-მეტრიანი პასი გაუჭიმა ნიკა გელაშვილს, ისიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და მყისიერად შესვა ბურთი კარში — 1:0.

არადა, მანამდე იყო ფეიქრიშვილის ორჯერ გასროლილი და ორჯერვე ნაფეტვარიძის მოგერიებული, გიორგი დათუნაიშვილის ძელს გარტყმული, ნიკა გელაშვილის ორჯერ პირისპირ გასვლა, იმედაშვილის ორჯერ აცილებული... ერთი მომენტი „სპარტაკსაც“ ჰქონდა, როცა გელა ხუბუამ მარცხენა ფლანგზე ბავშვივით მოატყუა ლაშა ჯაფარიძე, მაგრამ მის მახვილი კუთხიდან დარტყმულს არდალიონ მიქაბერიძე გადაეფარა.

მეორე ტაიმიც „ვიტ ჯორჯიასი“ იყო. როგორც იქნა, თავისი გოლი გაიტანა ვასილ ღუჭაშვილმა, რომელიც თითო მატჩში იმდენ მომენტს ანიავებს, თვლა აღარაა. თუმცა... ღუჭაშვილს ეს გოლი არ ჩაუთვალეს. ზუსტად ერთ წუთში კი მან 2 მეტრიდან როგორ ააცილა კარს, ალბათ, თავადაც არ იცის...

„ვიტ ჯორჯიამ“ იგრძნო, რომ „სპარტაკს“ ანგარიშის გათანაბრების ილაჯი არ ჰქონდა და მცველებიანად შეუტია. კვახაძემ მატჩის ნახევარზე მეტი სულაც თავდასხმაში გაატარა, ერთხელ ხარიხასაც გაარტყა ბურთი თავით, ისევე როგორც გიორგი დათუნაიშვილმა — უმცროსმა „ჯენარომ“ ყუმბარისებული გასროლით მეორედ აახმაურა რკინის საგანი.

„სპარტაკს“ კი ერთხელ ნაღდად შეეძლო გატანა: მათგან უდავოდ გამორჩეულმა ჯიბლაძემ კონტრშეტევაზე ერთი ვიტელი მოატყუა და სტუმრები სამნი ერთის წინააღმდეგ დარჩნენ, თუმცა ჯიბლაძის არაზუსტმა პასმა ყველაფერი ჩაშალა.

სამაგიეროდ, 84-ე წუთზე დავით იმედაშვილმა ყველაფერი დაასრულა — ლამაზი კომბინაციის შემდეგ დავით დიღმელაშვილის გამჭოლი პასი მიიღო, პირისპირ შეეყარა დავით ნაფეტვარიძეს და ექვსი-შვიდი მეტრიდან იოლად შეაგდო — 2:0.

„სპარტაკთან“ მოგება ვეტერინარებს ოდნავ რთული ვარჯიშივით გამოუვიდათ. „მწვანეები“ საოთხშაბათო ომისთვის ემზადებიან — ბოლნისში!

# ზესტაფონმა მალტრიო დაასვენა

## იმედაძის ცხრიანი და იონანიძის ორიანი

ზურაბ იონანიძემ (მარჯვნივ) „ლოკომოტივი“ ორი გოლით გამოისტუმრა

ბალდასარ ბ ქეთევანიდან

ზესტაფონი. 15 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 3 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 3:0 ლოკომოტივი

1:0 იმედაძე (8), 2:0, 3:0 იონანიძე (25, 90)

| ზესტაფონი: | ლოკომოტივი: |
|---|---|
| გ. ჭანტურია, გ. თურმანიძე, ს. თოდუა, შ. ღონღაძე, ხიდეშელი, გ. ჭელიძე (განუგრავა 46), კ. ჩხეტიანი, იმედაძე (ძარია 75), ბ. გოცირიძე (ფიფია 46), იონანიძე | ლ. ლომიძე, ნ. ებრალიძე (ფურთუხია 46), თუთბერიძე, ოგბაიძე, პეტროსიანი (ბახტაძე 71), კახელიშვილი, მ. ფღენტი, ბარბაქაძე (ჩივაძე61), გულორდავა, ალავერდაშვილი, რამონი |
| *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ბ. ნოზაძე, გიორგიძე, ბენაშვილი | *სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე; ავალიანი, ყიფიანი, მენაბდე |
| მწვრთნელი: კობა ყორჟიკაშვილი | მწვრთნელი: სოსო სირაძე |

გაფრთხილება: გულორდავა (83), ძარია (89)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; გ. დოგრაშვილი, კ. ბერაძე; კ. ჭაჭუა

დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე; დირეიტორი: ე. თევზაძე

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ზესტაფონელები ერთი თავით სჯობდნენ თბილისელებს და ეს ანგარიშიც დაფიქსირდა.

კობა ყორჟიკაშვილმა „მალტელი ტრიო“ — გოგი ფიფია, გიორგი განუგრავა და ალექსი ბენაშვილი — სათადარიგოებში დატოვა.

პირველი საგოლე შანსი გიორგი ჭელიძის გადაცემის შემდეგ ბექა გოცირიძეს მიეცა, მაგრამ მან ბურთს წაუცაცუნა და ლევან ლომიძესაც არაფერი გასჭირვებია.

მალევე იყო „ლოკომოტივის“ პასუხი. ბრაზილიელმა რამონმა რამდენიმე ცრუმოძრაობის შემდეგ კარში კი დაარტყა, თუმცა უშედეგოდ.

მე-8 წუთზე კი ულამაზესი გოლი გაიტანა გიორგი იმედაძემ — მოედნის ცენტრიდან გაიჭრა, გზად რამდენიმე თბილისელი ჩამოიცილა და საჯარიმოში არშესულმა დაარტყა. ბურთი „ცხრიანში“ შეფრინდა — 1:0.

მალევე თოდუა-იმედაძე-ჭელიძის კომბინაცია ზურაბ იონანიძემ ვერ დააგვირგვინა საგოლედ.

შემდეგ გიორგი თურმანიძის შორიდან გასროლილი იყო — ბურთმა ხარიხა შეაზანზარა.

25-ე წუთზე კი „იონამ“ მაინც გაიტანა: იმედაძის ჭკვიანური პასით იონანიძემ აუღელვებლად გაუტანა ლომიძეს — 2:0.

მეორე ნახევარი უფრო მოსაწყენი გამოდგა. ბურთი ძირითადად მოედნის შუაგულში ტრიალებდა და ხიფათიც ნაკლებად იქმნებოდა.

ერთი სიტყვით, საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა და პირდაპირ გოზე ვთქვათ: ბოლო წუთზე თურმანიძის ჩაწოდებულ ბურთს იონანიძემ თავურით მოუძებნა გაგრძელება — 3:0.

### პრესკონფერენცია

*სოსო სირაძე:* თამამად შემიძლია ვთქვა, „ზესტაფონი“ საქართველოში ყველაზე კარგი და სტაბილური გუნდია. რაც შეგვეხება ჩვენ, მომავალ სეზონში „ლოკომოტივი“ გაცილებით უკეთესი იქნება.

*კობა ყორჟიკაშვილი:* „ლოკომოტივი“ ახალგაზრდული გუნდია და საკმაოდ კარგ ფეხბურთსაც თამაშობს. ჩვენი დღევანდელი წარმატება კი ძირითადად გამოცდილების ხარჯზე მოხდა.

# მერია დინამოს იტყვის

**დღეს** ოფიციალურად დაესმება წერტილი ეროვნული სტადიონის მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებულ კონკურსს. მსურველი კომპანიებისა და ორგანიზაციებისგან განაცხადების მიღების ბოლო ვადად პარასკევი იყო დათქმული. მოლოდინისამებრ, სპორტკლუბ „დინამოს“ გარდა ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციის სურვილი არავის გამოუქვამს. დღეს ქალაქის მერია ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს კონკურსში გამარჯვებულის შესახებ და მერე სპორტკლუბ „დინამოსთან“ კონტრაქტის შედგენაც დაიწყება.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 25 ტური

ბადრი კბილაძის ფოტო

გონსალო დე პორასის (№9) მეხუთე ქართული გოლი

# წვიმის კაცები

## მიხეილ საკაშვილი ბორჯომელებს ზეიმში ჩაეზიარა

**გიორგი ნოზაძე ბორჯომიდან**

მატჩის დასრულების შემდეგ გიორგი ჩიხრაძემ განაცხადა, რომ „ამერის“ პრიორიტეტი საქართველოს თასის გათამაშებაა. საპრიზო აღგილებთან ქულათა სხვაობა უკვე საკმაოდ სოლიდურია და ვითარების გათვალისწინებით აღმოსაფხვრელად არარეალური. ამიტომაც იყო, თბილისელთა სასტარტო შემადგენლობამ ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი რომ მოისაკლისა: დავითაშვილი, ხვადაგიანი, დოლიძე, ბოლქვაძე, კოშკაძე...

დალხენილი არც „ბორჯომია“. ვლადიმერ ხაჩიძეს მოკლე სათადარიგოთა სკამი და ტრავმები ერთდროულად აწუხებს. გუშინწინ ბორჯომელთა მწვრთნელი იძულებული იყო, შემადგენლობაში ტრავმამოუშუშებელი მიხეილ მესხი დაეყენებინა. თუმც, პრობლემების მიუხედავად, ორივე გუნდმა სწრაფი, ჯიგრიანი ფეხბურთი ითამაშა და მადლობაც დაიმსახურა.

პირველი ნახევარი მასპინძლებისა იყო. „ამერმა“ საკუთარი საჯარიმოს მისადგომები გაამაგრა. „ბორჯომი“ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა და აქცენტი აშკარად სწრაფ გოლზე ჰქონდა გაკეთებული, თუმცა გეგი გარუჩავამ და გიორგი კვახაძემ საიმედოდ ამოკეტეს მათი ყველაზე სახიფათო იარაღი გონსალო დე პორასი. არგენტინელ ფორვარდს ერთადერთხელ, 34-ე წუთზე მიეცა თავის გამოჩენის შანსი და ოციოდე მეტრიდან მის მიერ დარტყმული ზურაბ ქვაჩახიამ კუთხურზე მოიგერია. დე პორასის პასიურობის ფონზე ორჯერ სახიფათოდ მისმა თანამემამულე დარიო სებალემ დაარტყა. პირველ შემთხვევაში მისი თავური კარს გადასცდა, მეორედ კი არგენტინელმა ნაკუთხურალი ბურთი მკერდზე მიიღო და დამიზნებით დაარტყა — ქვაჩახიამ იმარჯვა.

გულხელდაკრეფილი არც „ამერი“ მჯდარა. გოლთან ყველაზე ახლოს სტუმრები მე-19 წუთზე იყვნენ, გიორგი სილაგავას ჩაწოდებულზე ალექსანდრე კაიდარაშვილმა თავით რომ ითამაშა და ძელს მოარტყა ბურთი.

მეორე ტაიმში გიორგი ჩიხრაძემ მოედანზე გრიგოლ დოლიძე გაიყვანა და „ამერს“ აგრესია მოემატა. მასპინძლებს აშკარად დაეტყოთ დაღლა და თამაში გათანაბრდა. 57-ე წუთზე სილაგავას შეეძლო უმეთვალყურეო დოლიძე მეკარესთან პირისპირ დაეტოვებინა, მაგრამ ბოლო პასი არაზუსტი გამოუვიდა. რამდენადაც „ამერმა“ შეტევებზე ფიქრს უმატა, იმდენად გაეხსნა ხელ-ფეხი გონსალო დე პორასს და მეორე ნახევარი პირველზე გაცილებით უკეთ ჩაატარა, შედეგად კი გოლი მოიმკა: 62-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა ბორჯომელმა ლევან სანიკიძემ ჩააწოდა, დე პორასმა მეურვეს ორთაბრძოლა მოუგო და თავურით ანგარიში გახსნა.

აქ კი პატარა გადახვევა მოგვიწევს: მატჩის დასაწყისიდანვე ტრიბუნებზე და სტადიონის შემოგარენში გაძლიერებული დაცვა იდგა — სტადიონზე ბორჯომში სტუმრად მყოფ საქართველოს პრეზიდენტს ელოდნენ. მისმა ესკორტმა „ჯემალ ზეინკლიშვილს“ პირველი ტაიმის შუაწელს ჩაუარა და ვიფიქრეთ, პრეზიდენტმა ფეხბურთზე სტუმრობა გადაიფიქრაო. მიხეილ საკაშვილი კი სტადიონზე სწორედ მაშინ შემოვიდა, ბორჯომელ ქომაგებს ანგარიშის გახსნის ყიჟინა ჯერაც რომ არ დაესრულებინათ. მიხეილ საკაშვილმა, დავით კრკიტაძემ, კახა ლომაიამ და ნოდარ გრიგალაშვილმა ტრიბუნაზე, გულშემატკივართა შორის დაიკავეს ადგილი. საფინალო სასტვენამდე კი 25 წუთამდე რჩებოდა...

„ამერმა“ ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწია და მიზანს 70-ე წუთზე უწია. ხანგრძლივი შეტევა „ბორჯომის“ საჯარიმო მოედანში გაგრძელდა. ჯერ წინამძღვრიშვილი ცდილობდა დარტყმას, შემდეგ კაიდარაშვილი, ბურთი მეკარის ბაქნის კუთხეში დოლიძემ მოიხელთა და გამჭოლი გადაცემაც გააკეთა — სილაგავას დარტყმულ ბურთს ზურაბ მამალაძე კარის ბადეშიღა მისწვდა. ამერელები გოლის ავტორს შემოეხვივნენ და ისე მოხდა, მილოცვების ეპიცენტრმა სტუმართა ნახევარზე გადაინაცვლა. გონსალო დე პორასმა ისარგებლა იმით, რომ მეტოქეები თავის ნახევარზე ჯერაც გოლით ხარობდნენ და მოედნის ცენტრიდან პირდაპირ ცარიელ კარში დაარტყა. გიორგი ვადაჭკორიამ, ბუნებრივია, გოლი არ ჩათვალა: მას თამაშის განახლების ნიშანი არ ჰქონდა მიცემული და არც ქვაჩახია იმყოფებოდა ადგილზე. არბიტრმა ბორჯომელთაგან პროტესტის გარდა ჯიკავიც დაიმსახურა, თუმცა ყვითელი ბარათი არ უხმარია.

85-ე წუთზე აშკარად შეცდა თანამსაჯი ზაზა მენთეშაშვილი. კაიდარაშვილის გადაცემის შემდეგ მან რატი წინამძღვრიშვილზე თამაშგარე დააფიქსირა, არადა, ბორჯომელი დავით ბაქრაძე აშკარად უკან იმყოფებოდა. წინამძღვრიშვილმა კი სასტვენის შემდეგ დარტყმისთვის გაფრთხილება მიიღო.

და კულმინაცია: 89-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, ბურთს სხვებზე მარჯვედ შოთა ჯიქია დახვდა და 2:1. სტუმრები გიორგი ვადაჭკორიას ანამუსებდნენ, გოლამდე დე პორასმა ხელით რომ ითამაშა, რატომ ვერ შენიშნეო...

ნამატჩევს მიხეილ საკაშვილი მოედანზე შევიდა და ბორჯომელთა ტაშის გრიალში „ბორჯომს“ გამარჯვება მიულოცა. ზეიმი შედგა.

ერთიც: „ბორჯომმა“ თბილისის „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ წვიმის თანხლებით მოუგო. ბორჯომში ამჯერადაც ჟინჟლავდა...

ბორჯომი. 15 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 4 000 (ტევადობა 4 000)

## ბორჯომი 2:1 ამერი

**1:0 დე პორასი (62), 1:1 სილაგავა (70), 2:1 ჯიქია (89)**

| ბორჯომი | ამერი |
|---|---|
| მამალაძე, საჯაია, ლ. მერებაშვილი, ბაქრაძე, მემარნიშვილი, მესხი, სანიკიძე, გუწაძე, ვ. გოჩაშვილი (შ. ჯიქია 79), სებალე, დე პორასი (თედიაშვილი 90) | ქვაჩახია, კედელაშვილი, გვაძაბია, (ჩიკვილაძე 59), ელბაქიძე, ნიკოლაიშვილი (დოლიძე 46), ა. კაიდარაშვილი, გარუჩავა, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 66), დობროვოლსკი, გ. კვახაძე, სილაგავა |
| *სათადარიგო:* მამარდაშვილი; გაბისკირია, ხითარიშვილი, ხარატიშვილი | *სათადარიგო:* ნაჭყებია; ბერიანიძე, ტატანაშვილი, ჯიშკარიანი |
| მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

**გაფრთხილება:** ნიკოლაიშვილი (38), ელბაქიძე (45), მესხი (49), ბაქრაძე (72)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

**დამკვირვებელი:** ტ. ნიშნიანიძე

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. სწრაფი, სანახაობრივი ფეხბურთი გამოვიდა და მასპინძლებმა შანსი გამოიყენეს. ჩვენ ფლანგებზე აქტიური თამაშით ბოლომდე ვერ ვისარგებლეთ. რამდენიმე ფეხბურთელი აშკარად გადაღლილი იყო და ამიტომაც არ ვათამაშე, თანაც აქცენტი თახის გათამაშებაზე გვაქვს გადატანილი.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ორივე გუნდს მადლობას ვუხდი ლამაზი ფეხბურთისთვის. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები მართლაც ძალიან არიან გადაღლილები. ასეთი კალენდრით თამაში საქართველოში ფეხბურთს დაღუპავს და იმედია, სამომავლოდ ამას გაითვალისწინებენ.

ბადრი კბილაძის ფოტო

ამერელი გიორგი სილაგავას დარტყმულს ზურაბ მამალაძემ ვერაფერი მოუხერხა

ნამატჩევს: მიხეილ საკაშვილი და გამარჯვებული „ბორჯომი“

# სირაძის საზარდულს სითხეც ჩაუდგა

**ერეგეგბირგეს** აუე-ს დავით სირაძეს უკვე ორი ტურია, მეორე ბუნდესლიგაში არ უთამაშია. გუშინ აუე-მ „მიუნხენ 1860“-ს 3:0 მოუგო და ჩვენებური მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა. სირაძეს სწორედ ამის გამო დავურეკეთ გერმანიაში...

— „მიუნხენ 1860“-მდე „ოფენბახთან“ ვერ ვითამაშე, რადგან მატჩის წინა დღეს საზარდული ამტკივდა. რამდენიმე დღე მსუბუქად ვვარჯიშობდი, „მიუნხენთან“ მატჩის წინ კი გუნდთან ერთად ვივარჯიშე და საზარდული კვლავ ამტკივდა. გამოკვლევა ჩამიტარეს, რენტგენზე გამაშუქეს და მითხრეს, საზარდული დაზიანებულია და ცოტა სითხეც გაქვს ჩამდგარიო. ოთხშაბათს ხელმეორედ გადამიღებენ სურათს საზარდულზე, მანამდე კი მსუბუქი ვარჯიშიც ამიკრძალეს და აბები დამინიშნეს. ხოლო თუ როგორ გავაგრძელებ მკურნალობას, ამას ოთხშაბათს ან ხუთშაბათს მეტყვიან — გვითხრა გუშინ სირაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# პრეზიდენტის სტუმრობაო...

**თბილისურ** „ამერთან“ გამარჯვებით „ბორჯომმა“ ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა — ერთი რომ, კურორტელებმა ევროსაგზურისთვის ბრძოლაში სერიოზული ნაბიჯი წადგეს და მეორეც, მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება, რომ ბორჯომის რაიონული ბიუჯეტი გუნდს კვლავაც დაუფინანსებს.

მოგეხსენებათ, „ბორჯომი“ — „ამერის“ მატჩს საქართველოს პრეზიდენტმაც ადევნა თვალი. გამარჯვებამაც რაიონის და რეგიონის ხელმძღვანელებს დამატებითი არგუმენტი მისცა, რომ კლუბის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები წყალში არ იყრება. არადა, აქამდე ბიუჯეტიდან „ბორჯომის“ დაფინანსების საკითხი ჰაერში იყო გამოკიდებული.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ბენერალური სპონსორი

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 25 ტური

# ცხინვალს სიონთან ცუდად გაუვარდა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩის** საწყისმა წუთებმა ნელ ტემპში ჩაიარა. მხოლოდ მე-10 წუთიდან დაიწყოთ გამოცოცხლება ორივე გუნდის მოთამაშეებს, როდესაც დავით სვანიძემ შორიდან ძლიერად დაარტყა „ცხინვალის“ კარში — ქესანაშვილს ბურთი ხელებიდან გაუვარდა, ხარიხას მოხვდა და კუთხურზე გავიდა.

„სიონმა“ ტემპს თანდათან უმატა, ინიციატივა მოიპოვა, შეტევებიც უფრო გააწვავა.

30-ე წუთზე კი ანგარიშიც გაიხსნა: სტუმრების მორიგი შეტევისას „ცხინვალის“ მცველებმა ცუდად მოიგერიეს ბურთი, რომელსაც ირაკლი სირბილაძე დაეუფლა და თავით დაუგდო კარგ პოზიციაში მყოფ კოკა მიკუჩაძეს, ვინც საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა — 0:1.

გატანილი გოლის შემდეგ „სიონის“ უპირატესობა აშკარა გახდა, მაგრამ ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა, მატჩის მეორე ნახევარი კი „სიონმა“ უფრო დამაჯერებლად დაიწყო და რამდენიმე წუთში მიკუჩაძემ ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა — საჯარიმოში მყოფმა 10-12 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

57-ე წუთზე კი „სიონის“ უპირატესობა მეორე გატანილ გოლში აისახა. გიორგი ქუცურუამ რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა, საჯარიმოში შეიჭრა და ზუსტადაც დაარტყა — 0:2.

მასპინძლებმა სამი წუთში შეამცირეს სხვაობა, „სიონის“ მცველები საკუთარ საჯარიმოში უხეშად ეთამაშნენ გიორგი მაისურაძეს და დაინიშნა პენალტი, რომელიც „დაზარალებულმა“ ზუსტად შეასრულა — 1:2.

**გორი. 15 აპრილი. 16 საათი. ძარული. 100 მაყურებელი**

## ცხინვალი 1:3 სიონი

0:1 მიკუჩაძე (30), 0:2 ქუცურუა (57), 1:2 გ. მაისურაძე (60), 1:3 ხმალაძე (75)

| ცხინვალი | სიონი |
|---|---|
| ქესანაშვილი, ე. დვალი, ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, კ. ხანიშვილი, ქარქუზაშვილი, ეჯოშვილი (ფერსაევი, 46), ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი (ახალკაცი 46), ბ. ჩიტაია (დ. ხანიშვილი), გ. მაისურაძე | ბობღიაშვილი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, თედორაძე (კობაური 46), რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, სვანიძე, ხმალაძე, ქუცურუა, მიკუჩაძე (ქარდავა 69), სირბილაძე (ტაბატაძე 80) |
| *სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; ხოხობაშვილი, მ. თაყაძე, მძინარიშვილი | *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ვ. უგრეხელიძე, ოქროპირიძე, მ. ხუციშვილი |
| **მწვრთნელი:** ივანე თაყაძე | **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე |

**გაფრთხილება:** კობაური (60)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; ვ. გუმბერიძე, დ. სანოძე; პ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

„სიონი“ შეტევებს კვლავაც აგრძელებდა და მალე გიორგი კვიტაიშვილი ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა. 10 წუთში კი მატჩის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა — ლევან ხმალაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო, ქესანაშვილი ბურთის დაჭერას შეეცადა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა და 1:3.

# თელავმა კახეთი დატოვა

**თელავი. 15 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 2 500 (ტევადობა 6 000)**

## კახეთი 1:3 ბათუმი

0:1 დვალიშვილი (23), 0:2 ტიაგო (32პ), 0:3 ჯიქია (39), 1:3 კობახიძე (86)

| კახეთი | ბათუმი |
|---|---|
| ცინაძე (გ. იაშვილი 81), ტარუღაშვილი, კობაიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე (კუპრაშვილი 81), კევლიშვილი, ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული (ბიძინაშვილი 73), სოსელია, არუდაშვილი, ვ. კობახიძე | სომხიშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, ქებაძე, გ. მანწკავა (თ. უგრეხელიძე 73), სეთურიძე (ეფონია 77), რ. ონიანი, ტიაგო, რ. ჯიქია (კაკალაძე 68), დვალიშვილი |
| *სათადარიგონი:* კვირკველია, გიორგობიანი, როსტიაშვილი, ტეტიაშვილი | *სათადარიგონი:* თოთლაძე; კუნჭულია |
| **მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი | **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |

**გაფრთხილება:** კობაიძე (58)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; კ. გუდურაშვილი, ა. კოკაია; დ. ხარიტონაშვილი

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

ბათუმელები თელავშიც ვერ შეიჩერეს

## პირველად ამ სეზონში: რა უნდა ხალხს და — მარში, თუ არა, აგე — დემარში

**გიორგი კაციტაძე თელავიდან**

**ამ სეზონში** თელავის „კახეთს“ საკუთარ მოედანზე ასე ცუდად ალბათ არ უთამაშია. იმედგაცრუებული გულშემატკივარი თამაშის დამთავრებასაც არ დაელოდა, ისე დატოვა სტადიონი.

მართლაც, მეტად უსუსური იყო „კახეთი“: მასპინძლები იდგნენ, სტუმრები კი თამაშობდნენ.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და პირველი სახიფათო დარტყმაც მათ შეასრულეს — მე-5 წუთზე რევაზ ჯიქიამ ოდნავ ააცილა კარს. მალევე თელაველი მიხეილ სოსელიას პასუხიც იყო, მაგრამ მეკარეს არ გასჭირვებია ბურთის აღება.

ბათუმელებმა დაწოლა გააძლიერეს და ტაიმის შუისკენ იხეირეს კიდეც — გიორგი სეთურიძის ჩაწოდებული ვლადიმერ დვალიშვილმა თავით გადაგზავნა კარში — 0:1.

გაშვებული ბურთის შემდეგ თელაველებს სულ მთლად დაეკარგათ თამაშის სურვილი.

31-ე წუთზე კი გუნდის კაპიტანმა ტარუღაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მსაჯმაც არ დააყოვნა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი — ბრაზილიელმა ტიაგო ჟენეიროს შანსი არ გაუშვა და 0:2.

ცალკარა გრძელდებოდა და 39-ე წუთზე სტუმრებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს. „კახეთის“ მცველებმა ბავშვური შეცდომა დაუშვეს და ბურთი რევაზ ჯიქიას ჩაბარეს — მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბათუმელმაც მესამე გოლი შეაგდო — 0:3.

ოთარ გაბელიას შეგირდებს შესვენების მერეც არაერთი მომენტი ჰქონდათ — 48-ე და 62-ე წუთებზე ორი ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა ბრაზილიელმა ტიაგომ.

თამაშის მიწურულს კი ეგრეთ წოდებული პრესტიჟის გოლიც ვნახეთ. ვასილ არუდაშვილის დარტყმული ძელს მოხვდა და დამატებაზე ვლადიმერ კობახიძემ აუღელვებლად შეაგორა ბურთი კარში — 1:3.

### პრესკონფერენცია

*ოთარ გაბელია:* ადვილი თამაში არ იყო. ბიჭებს ვთხოვე თავიდანვე შეგვეტია და პირველი ტაიმი მართლაც კარგად ვითამაშეთ. ტრავმის გამო გვაკლდა გვაზავა, ფეხმტკივანი იყო კაკალაძეც. გუნდი ჯერ კიდევ არ არის სრულად დაკომპლექტებული და იმედი მაქვს, მომავალ სეზონში უფრო სერიოზული შედეგებისთვის ვიბრძოლებთ.

*ჯემალ მახარაშვილი:* ვულოცავ სტუმრებს წარმატებას. ვაღიარებ, მათ კლასით გვაჯობეს. რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დავუშვით. პირველი გოლის შემდეგ კი გუნდი გატყდა.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲜᲘᲡᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XVII ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ — ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ — 25 ᲢᲣᲠᲘ

# ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲪᲮᲔᲚ-ᲪᲮᲔᲚᲘ ᲓᲣᲑᲚᲘ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲕᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 15 Ა�პᲠᲘᲚᲘ. 16 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐ. 600 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2:0 ᲓᲘᲚᲐ

ᲰᲐ, 2:0 ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ (17, 73)

| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ | ᲓᲘᲚᲐ |
|---|---|
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: მ. ალავიძე, მიმინოშვილი (მ. ხუციშვილი 85), მიქიაშვილი, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, ლ. კვარაცხელია, ბესარაშვილი, სახვაძე, აფციაური, ხოჯავა (ზირაქიშვილი 60), რ. ბარაბაძე (ბარამიძე 70) | ᲓᲘᲚᲐ: გეგეშიძე, გვარუციძე, მაისურაძე, გალოგრე, ოლგესაშვილი (ხაჭიპერაძე 61), ლავრელაშვილი, საყვარელიძე (ალ. ლაბაძე 46), ვაჩეიშვილი, კუტალია, შატაკიშვილი, ლ. თურმანიძე (წუწუნავა 46) |
| *სათადარიგონი:* თევდორაძე; კაკაბაძე, ქორიძე, მ. ბურნაძე | *სათადარიგონი:* ნასყიდაშვილი; ლ. კობახიძე, მასურაშვილი, გ. ლაცაბიძე |
| მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა | მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე |

მსაჯები: ა. ორდინიძე; კ. ტეფნაძე, შ. ქუხილავა; დ. სანაია

დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

ლევან კვარაცხელია

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“ მომგებიან სვლას აგრძელებს და მთელი მონდომებით ცდილობს, უმაღლეს ლიგაში დარჩეს. ამის შანსი გოჩა ტყებუჩავას გუნდს, რა თქმა უნდა, აქვს და ერთ-ერთი ნაბიჯი სწორედ გორის „დილასთან“ მოგება იყო.

თბილისელებმა საქმეს თავიდანვე მოჰკიდეს ხელი და პირველ ტაიმში ბლომად მომენტებიც შექმნეს. ერთი თავდამსხმელით მოთამაშე „დილა“ დიდ საფრთხეს ვერ უქმნიდა მასპინძლებს და ამან ტყებუჩავას გუნდს ხელ-ფეხი გაუხსნა.

განსაკუთრებულ ხიფათს „თბილისი“ მოედნის ცენტრში ქმნიდა — გოჩა ხოჯავა და თორნიკე აფციაური ნარინარი პასებით ამარაგებდნენ თანაგუნდელებს და გორელთა საჯარიმოდე მისვლაც დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. სხვა საქმე იყო, ამის შემდეგ რა ხდებოდა... აი, თავდასხმაში „თბილისს“ აშკარად ვერ ჰქონდა საქმე ისე, როგორც სურდა — წინა ტურში ჰეთ თრიქის გამტანი ტანმაღალი რევაზ ბარაბაძე დათარსულივით იყო, პირველ ტაიმში სამი-ოთხი ურეალურესი მომენტი გააცუდა. მერე მიხეილ ბესარაშვილმაც ვერ იყოჩაღა — აფციაურის პასისას ბურთის დამუშავებას ზედმეტი დრო დაახარჯა და...

სამაგიეროდ, იმ დღეს „თბილისს“ ლევან კვარაცხელია ჰყავდა — „ვიტ ჯორჯიადან“ ნათხოვარი საყრდენი ნახევარმცველი, ვინც ძლიერი დარტყმით გამოირჩევა და ამის ნათელი მაგალითი ორჯერ ვნახეთ: პირველი ტაიმის მე-17 წუთზე კვარაცხელიამ საჯარიმოს მისადგომებთან მოატყუა მცველი და ჭვინტით შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი, მეორე გოლი კი უფრო გვიან, 73-ე წუთზე გავიდა — ლევანმა ასევე საჯარიმოს გარედან ამოსცხო აბრაგანი.

გორელები მთლად უსუსურადაც არ გამოიყურებოდნენ. პირიქით, შესვენებაზე მალხაზ ლაცაბიძემ ორი თავდამსხმელი შეუშვა მოედანზე და მეორე ტაიმიც სტუმართა უპირატესობით დაიწყო. ვერ ვიტყვით, თბილისელთა მეკარეს საქმე თავზე საყრელად მიეცაო, მაგრამ „დილამ“ მეტოქე რომ ანერვიულა, ფაქტია.

ოღონდ... ეს 15-20 წუთი გაგრძელდა და მორჩა. მერე ბურთს ისევ „თბილისი“ დაეპატრონა და ბარაბაძემ ძელსაც მოუსინჯა კბილი.

ყველაფერი კი კვარაცხელიას გოლით დამთავრდა, თუმც ამ მომენტზე უკვე ვთქვით...

ეს იყო და ეს. „თბილისმა“ მორიგი სამი ქულა ჩაიწერა და კვლავაც კუდში მისდევს „გადათამაშების ზონაში“ მბორგავ „სოხუმს“...

## ᲑᲔᲠᲚᲣᲡᲙᲝᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲝᲚᲖᲔ: ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲔᲕᲘ!

ᲧᲕᲔᲚᲐ გოლი მეტ-ნაკლებად ფასეულია, მაგრამ არის გოლები, რომლებიც განსაკუთრებულად ძვირია ისტორიისთვის — ასეთი იყო კახა კალაძის 70-ე წუთზე დაქუხებული „ინტერთან“, რამაც „მილანს“ „სკუდეტოს“ მოპოვების მცირე შანსი დაუბრუნა და... „სკუდეტოც“ რომ არა, ეს თამაში „როსონერიმ“ 1:0 მოუგო მოსისხლე თანაქალაქელს. ასეთ გოლებს კი „მილანის“ ტიფოზები არასოდეს ივიწყებენ, „ინტერთან“ და, ვთქვათ, „ემპოლისთან“ გატანილს მათთვის აბსოლუტურად სხვადასხვა ფასი აქვს.

უკლებლივ ყველა იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ კახა კალაძე დერბის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, „გუერინ სპორტივომ“ ჩვენუბურს სულაც 8-იანი დაუწერა 10-ბალიან სისტემაში, რაც ძალიან იშვიათად ხდება.

საქართველოს ნაკრების მცველის შექება არც „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის დაზარებია:

„კახამ უბრწყინვალესი გოლი გაიტანა. ჩვეულებრივ, ის კლუბშიც და ნაკრებშიც დაცვის ცენტრში თამაშობს, მაგრამ უშუალოდ თავისი ზონის გარდა, მარცხენა ფლანგსაც აკონტროლებდა, შავ სამუშაოს დიდებულად ასრულებდა. მისმა გოლმა კი „მილანის“ ტიფოზები გადარია და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი“.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲑᲠᲣᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 15 Ა�პᲠᲘᲚᲘ. 16 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ. 100 (ᲢᲔᲚᲔᲕᲐᲖᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 1 500)

### ᲡᲝᲮᲣᲛᲘ 1:0 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ

ᲰᲐ Ა. ᲜᲝᲖᲐᲫᲔ (73)

| ᲡᲝᲮᲣᲛᲘ | ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ |
|---|---|
| ᲡᲝᲮᲣᲛᲘ: სეფიაშვილი, ნადირაშვილი, მოლოდინი, ᲨᲕᲐᲜᲘᲐ, ჭყოიძე, მაჩალაძე, ხაჩიძე (დონდოლაძე 65; დ. კახელიშვილი 85), ი. ჭანტურია, სიხარულიძე (ბართია 81), გაგუა, ა. ნოზაძე *სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; ამბიძე, მჭედლიშვილი | ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: ლატარია, ქობულაძე, დ. ნარსია, ყურაშვილი, ლოლუა (გოჩალეიშვილი 52), ზ. ჯანაშია, მარგალიტაძე, ვართაგავა, ზ. ქუთათელაძე, წიქარიშვილი (წაბრია 80), ფარულავა *სათადარიგონი:* ხარძეიშვილი; კილასონია |
| მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი | მწვრთნელი: სოსო ფილია |

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: ფარულავა (44), გაგუა (70), დონდოლაძე (85)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ასკაროღლი, ზ. ბერულავა; ლ. სალაგავა

დამკვირვებელი: ო. რუხაძე

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ**

**ᲡᲝᲮᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡ** ის მონდომება ეტყობოდათ, რაც წინა მატჩებში აკლდათ — ჩემპიონატის დასრულებას ხუთი ტურიღა უკლია, თითო ქულას ოქროს ფასი აქვს და გოჩა ჟორჟოლიანის გუნდმაც შმაგი ბრძოლა გაუმართა „კოლხეთს“.

არგავარდნისთვის მებრძოლი გუნდების სატურნირო მდგომარეობას თუ გადავხედავთ, თავი ქუდში არც ფოთელებს აქვთ, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ „კოლხეთი“ გავარდეს.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ ამ შეხვედრაში „სოხუმი“ უფრო მოტივირებული იყო და მატჩის შედეგზეც ალბათ ამან იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა.

თამაშის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა „სოხუმს“ — ფოთელებს დაწინაურების შანსი ჰქონდათ, მაგრამ ედიშერ მარგალიტაძის ჩაწოდებულზე ზამირ ჯანაშიამ ახლოდან თავური დაჰკრა და ბურთი ოდნავ ააცილა მეტოქის კარს.

„სოხუმმა“ შეტევის მარჯვენა ფლანგი აამუშავა, სადაც ლევან მაჩალაძე აქტიურობდა. ის ჯერ მახვილი კუთხიდან დაემუქრა „კოლხეთს“ და ლევან ლატარიამ ხელებში გაიქცევა ბურთი; ცოტა ხანში კი კვლავ კარგად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, კარგადაც ჩააწოდა და არჩილ ნოზაძის თავური იმავ ლატარიამ უკუაგდო — ასეთი ბურთის მოგერიებაზე ნებისმიერი მეკარე მოაწერდა ხელს.

თანაბარი თამაში იყო, ბურთის ფლობაში მნიშვნელოვანი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონდა, მონდომებით კი „სოხუმი“ ოდნავ აღემატებოდა მეტოქეს.

ფოთელებს მორიგი საგოლე შანსი 35-ე წუთზე მიეცათ — მანუჩარ წიქარიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, ზვიად ქუთათელაძემ კი 4-5 მეტრიდან თავურით როგორ ააცილა მიზანს, ძნელი სათქმელია.

შესვენების შემდეგ თამაში ორი წუთის განახლებული იყო, როცა ლევან ვართაგავა კარგად შეიჭრა „სოხუმის“ საჯარიმოში, ძალაზე კი არა, შესრულებაზე დაარტყა და ბურთი ძელმა აისხლიტა.

გოჩა ჟორჟოლიანის გუნდს ამით მხნეობა არ მოჰკლებია, მიუხედავად შეცდომებისა, „სოხუმი“ ძალიან მობილიზებულად გამოიყურებოდა და კონცენტრაცია წამითაც არ დაუკარგავს. იყო ბევრი ტექნიკური წუნი, ცუდად შესრულებული ილეთები, მაგრამ გამარჯვებისკენ სწრაფვაში ამას ხელი არ შეუშლია სოხუმელთათვის.

„სოხუმში“ გამორჩეული ვალერი გაგუა იყო, მასპინძელთა იერიშებს მეტწილად ის წარმართავდა და სოხუმელებმა მოხდენილი საგოლე კომბინაცია რომ გაითამაშეს, გაგუას დიდი დამსახურებაცაა — მან და არჩილ ნოზაძემ „კოლხეთის“ საჯარიმოში ისეთი საჰაერო კედელი გაითამაშეს, მეტოქის წამიერი გაბრუება გამოიწვიეს და ნოზაძემაც 10-11 მეტრიდან შეაწყვიტა ბურთი ფოთელთა კარს — 1:0.

დარჩენილ დროში უფრო მეტს „კოლხეთი“ უტევდა, მაგრამ „სოხუმი“ დაცვაში გამაგრდა და ანგარიში აღარ შეცვლილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 25 | 19 | 4 | 2 | 45:16 | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 18 | 4 | 3 | 48:14 | 58 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 6 | 4 | 37:19 | 51 |
| ბორჯომი | 25 | 16 | 2 | 7 | 43:21 | 50 |
| ბათუმი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:17 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 41:19 | 49 |
| ამერი | 25 | 14 | 2 | 9 | 30:20 | 44 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 4 | 11 | 36:38 | 34 |
| ოლხეთი | 25 | 8 | 4 | 13 | 20:26 | 28 |
| ალგეთი | 25 | 8 | 2 | 15 | 26:40 | 26 |
| დილა | 25 | 7 | 4 | 14 | 28:36 | 25 |
| ცხინვალი | 25 | 7 | 3 | 15 | 24:47 | 24 |
| ტორპედო | 25 | 6 | 6 | 13 | 22:33 | 24 |
| სოხუმი | 25 | 5 | 3 | 17 | 23:54 | 18 |
| თბილისი | 25 | 5 | 2 | 18 | 20:42 | 17 |
| სპარტაკი | 25 | 2 | 5 | 18 | 6:45 | 11 |

AFP ლისაბონიდან

# ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔᲛ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲐ ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

# ᲠᲐᲚᲐᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

**ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ** ტრავმიანობის შემდეგ ზურაბ ზვიადაური ტატამს წარუმატებლად დაუბრუნდა — გუშინ პორტუგალიაში, მსოფლიოს თასზე იჭიდავა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. ერთი შეხედვით, არცთუ მნიშვნელოვან ტურნირზე უმეძლოდ დარჩენა ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუმც ამ უშედეგობამ ოლიმპიურ ჩემპიონს ევროპის ჩემპიონატზე ფიქრი დაასრულებინა.

ლისაბონური მსოფლიოს თასი ბევრი ნაკრებისთვის ევროპირველობის წინ გენერალური რეპეტიციაა და მწვრთნელებიც საბოლოოდ წყვეტენ, ვის ჩასვამენ 26-28 მაისს ტამპერეში წასაყვან შვიდკაცა გუნდში. შოთა ხაბარელმაც ძირითადი კანდიდატები იახლა თან და შედეგებს თუ გადავხედავთ, საჭოჭმანო ბევრიც აღარ უნდა ჰქონდეს.

90 კილოგრამით დავიწყეთ და აქვე გეტყვით, რომ ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე გახდა. ამ ახალგაზრდა ძიუდოისტმა წლევანდელ მსოფლიოს თასებზე ბრწყინვალედ იჭიდავა და ბევრის აზრით, ევროპაზე წასვლაც ალალად დაიმსახურა. ბოლო გამოცდა კი გუშინ ჩააბარა ირაკლიმ — თან როგორ, ოქროს გზაზე თვით ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი და ზურაბ ზვიადაურის მძლეველი, ყოჩაღი ესპანელი, დავიდ ალარზა ჩამოიცილა. ამათ გარდა, ცირეკიძემ ტუნისელ რამზი ტუატისა და კორეელ სუნ-ვო პარკს მოუგო.

ზვიადაურმა ნახევარფინალამდე პორტუგალიელ ჟოაჟო ტავეირასა და რუს მაგომედ მაგომედოვს სძლია, მაგრამ მერე, ჯერ ნახევარფინალში წააგო ალარზასთან, შემდეგ პარკთან და მეხუთე ადგილზე გავიდა.

ყველაზე საინტერესო შიდა-კონკურენციას 90 კილოგრამის გარდა, მძიმე წონაში ველოდით. მართალია, ჩემპიონი ვერც ერთი ევროკანდიდატი ვერ გახდა, მაგრამ ღირსეული მაინც გამოიკვეთა. ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს დაეჭიდნენ და გუჯეჯიანმა იმარჯვა. რეპეშაჟამდე ლაშამ რუს სოსლან ჯანაევს მოუგო და ბრაზილიელ დანიელ ერნანდესთან წააგო. ზვიადი კი კორეელი სუნგ-ბუმ კიმის ძლევის შემდეგ, რუსმა ტამერლან ტმენოვმა შეაჩერა.

81 და 100 კილოგრამებში ევროსაგზურთან ყველაზე ახლოს გრიგოლ მამრიკიშვილი და გიორგი ყიზილაშვილი იდგნენ და, ალბათ, უკვე ოფიციალურადაც გაიფორმეს. ლისაბონში ორივემ ფინალში იჭიდავა და ორივე დამარცხდა. მამრიკიშვილის კონკურენტი გიორგი ბაინდურაშვილი მეცხრე ადგილზე გავიდა, ყიზილაშვილის კონკურენტი ლევან ჟორჟოლიანი კი — მეხუთეზე.

ბოლოს იმ სამ წონაზეც, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელების ბედი ადრევე რომ გაირკვა. ნესტორ ხერგიანმა (60 კგ), ზაზა კედელაშვილმა (66 კგ) და დავით ქევხიშვილმა (73 კგ) შოთა ხაბარელის ნდობა ლისაბონამდე დაიმსახურეს და ბოლო ტურნირს მათთვის მხოლოდ სავარჯიშო ხასიათი თუ ჰქონდა. ხერგიანმა და კედელაშვილმა სულაც ერთი წონით მაღლა იჭიდავეს. ნესტორს, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ მოუხდა ტატამზე გასვლა, პირველსავე წრეში პორტუგალიელ ვლადიმერ ოლეინიჩთან დამარცხდა. 66-კილოგრამიანთა კვარცხლბეკზე ერთი ქართველი მაინც შედგა — მინდია ხომიზურმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

73-ში ნახევარფინალს კედელაშვილმაც მიაღწია და ქევხიშვილმაც. ხოლო ქართული ფინალის იმედი კორეელმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვონ-ჰი ლიმ გადაწურა. სწორედ მან სძლია კედელაშვილს. მერე კი ქევხიშვილსაც...

საქართველოს ნაკრები თბილისში ხვალ დაბრუნდება და ხაბარელიც, ალბათ, ევროშვიდეულს ოფიციალურად გამოაცხადებს.

**ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ**

### 60 კგ

1 მინ ჰო ჩოი (კორეა)
2 რობერტო კუეტო (ესპანეთი)
3 ჟოაო კარდოსო (პორტუგალია)
3 პაველ პეტრიკოვი (ჩეხეთი)
7 დავით ასუმგანი (საქართველო)

### 66 კგ

1 ოსკარ პენასი (ესპანეთი)
2 პედრო დიასი (პორტუგალია)
3 ხავიერ დელგადო (ესპანეთი)
3 მინდია ხომიზური (საქართველო)
17 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)

### 73 კგ

1 ვონ-ჰი ლი (კორეა)
2 დავით ქევხიშვილი (საქართველო)
3 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
3 ჟოაო პინა (პორტუგალია)

### 81 კგ

1 ჟოაო ნეტო (პორტუგალია)
2 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
3 მიჩა ეგერი (შვეიცარია)
3 დიოგო ლიმა (პორტუგალია)
9 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)

### 90 კგ

1 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
2 დავიდ ალარზა (ესპანეთი)
3 სუნ-ვო პარკი (კორეა)
3 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
5 ზურაბ ზვიადაური (საქართველო)

### 100 კგ

1 ლუჩიანო კორეა (ბრაზილია)
2 გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)
3 სულთან მაგომედოვი (რუსეთი)
3 ივან ვეგა (ესპანეთი)
5 ლევან ჟორჟოლიანი (საქართველო)

### +100 კგ

1 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
2 დანიელ ერნანდესი (ბრაზილია)
3 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 სოსლან ჯანაევი (რუსეთი)
5 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)

## ᲠᲐᲒᲑᲘ

# ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ

## ᲠᲝᲪᲐ ᲐᲣᲢᲘᲪ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚᲘᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** ლოკომოტივის სათადარიგო მოედანს მცირერიცხოვანი გულშემატკივარი 12 საათისთვის ეწვია, დაახლოებით ნახევარ საათში კი შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპის თამაშებიც დაიწყო.

ნახევარფინალში „ხულიგანა“ „რუსთავს“ გადაეყარა, „ლელო“ კი „დინამოს“.

რუსთაველებმა შვიდკაცასთვის უჩვეულო რაგბი ითამაშეს, მოლსაც ხშირად აყენებდნენ და საერთოდაც ძალისმიერი თამაში. ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, მორაგბეთა საშუალო წონის მიხედვით რუსთაველებთან ვერცერთი გუნდი ვერ მივიდოდა ახლოს.

„ხულიგანამ“ რუსთაველთა ძალისმიერ ტაქტიკას ვერაფერი დაუპირისპირა და 7:19 წააგო.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა შედარებით თანაბარი გახლდათ, თუმცა „ლელოს“ უპირატესობა „დინამოსთან“ მაინც იგრძნობოდა. 24:10 და „ხულიგანასთან“ სათამაშოდ „დინამო“ გამწესდა.

სწორედ ეს თამაში გამოდგა ყველაზე დაძაბული და სანახაობრივი. ორი თანაბარი ძალის მეტოქემ ერთმანეთს ტოლი არაფერში დაუდო და ლამაზი, კომბინაციური რაგბი ითამაშა. პირველი ტაიმი „დინამომ“ 19:7 მოიგო, თუმცა მეორეში გულშემატკივრის აქტიურობით ფრთაშესხმულმა „ხულიგანამ“ მოუმატა და მოწინააღმდეგე საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვა. შედეგად მატჩის მიწურულს „ხულიგნები“ წინ გავიდნენ — 21:19. თითქოს შუპირატესობის შენარჩუნება არც უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა ბოლო წამებზე ვერა და ვერ მოახერხეს ბურთის აუტში გადაგდება, რომ მსაჯისთვის საფინალო სასტვენის მიცემის საშუალება მიეცათ. შედეგად „დინამომ“ ერთხელაც იგდო ბურთი ხელთ და მეტოქე დაელელოვა, რასაც გარდასახვაც მიაყოლა.

საფინალო მატჩში რუსთაველებმა გახსნეს ანგარიში, თუმცა „ლელომ“, როგორც ჩანს, მათ თამაშს ალღო აუღო და უფრო სწრაფი, კომბინაციური თამაში დაუპირისპირა, შედეგად „რუსთავმა“ პირწმინდად დათმო ფინალი — 17:47.

გუშინდელი ეტაპი „ლელომ“ კი მოიგო, მაგრამ ჯაჭში საქართველოს ჩემპიონი მაინც „ხულიგანა“ გახდა.

**ᲚᲐᲓᲝ ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ**

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ

## ᲢᲝᲜᲒᲐᲡ ᲯᲐᲕᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲔᲞᲖᲝᲑᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲧᲐᲠᲔᲡ

**ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ** ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებს ტონგასთვის რომ მოეგო, ეგებ საგაისო ელიტარული საგზურიც მოპოვებინა, მაგრამ ეს არ მოხდა და ჩვენები ახლა B დივიზიონის თექვსმეტეულში უკუთესი ადგილისთვის იბრძვიან.

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა რუსეთი 33:8 დაალელოვა და B დივიზიონის მე-6 ადგილი გაინაღდა. ჩვენებურმა პირველი ტაიმი 7:8 კი წააგეს, მაგრამ მეორეში რუსებს ოთხი ლელო უყელეს. „პლეი ოფში ვერგასვლისთვის ბიჭებმა მთელი ჯავრი რუსებზე იყარეს. პირველი ნახევარიც შემთხვევით წავაგეთ. ისეთი თამაში იყო, რუსებს ის ერთი ლელოც არ უნდა გაეტანათ, ჩვენ კი მინიმუმ ოცი ქულით მეტით უნდა მოგვეგო“ — გვითხრა გუნდის მენეჯერმა ირაკლი გვენეტაძემ.

იმისთვის, რომ ქართველებმა მე-5 ადგილი დაიკავონ და პლეი ოფს მიღმა დარჩენილებში საუკეთესოები გახდნენ, ურუგვაი — ჩილეს შორის გამარჯვებული უნდა დაამარცხონ.

რაც შეეხება, ტრეკიზოში დასრულებულ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს, იტალიაში საქართველოს ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა. ჩვენებს შეეძლოთ, ამაზე წინ წაწეულიყვნენ, მაგრამ ტურნირის ბოლო მატჩში ირლანდიასთან უიმედოდ, 13:52 წააგეს.

მთავარია, ჩვენებმა ელიტარულ რვა გუნდში შეინარჩუნეს ადგილი და გაისადაც რჩეულებში ითამაშებენ. პირველ წრეში შოტლანდიასთან მარცხის შემდეგ ქართველებმა რუსებს 11:0 აჯობეს და საელიტო ადგილიც მაშინ გაინაღდეს.

**ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**

ყველა ვარსკვლავი. ვერის ბალი. 16 მარტი

# ვერის ბალი ერთი დღით გაანათდა

**აღმოსავლეთი 130:123 დასავლეთი**

*17:24 38:23 34:39 41:37*

**აღმოსავლეთი:** ლეჟავა (13), გოგობერიშვილი (18), ბეჟანიშვილი (2), ბაბიაშვილი (15), სუხიშვილი (6); იმნაძე (24), ბოისა (21), ი. ბერიშვილი (15), ტუჯანი (12), ფანჩულიძე (4), ლაფანაშვილი, მარხვაშვილი

**დასავლეთი:** ტულუში (11), ხოშტარია (8), მარკოიშვილი (19), შანიძე (13), მათიაშვილი (21); შერმადინი (20), ბ. ბერიშვილი (12), კეიდა (10), ხეცურიანი (7), ორმოცაძე (2), მიქაძე, როდუმტა

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

ვერავ დოლენჯაშვილის ფოტო

მიხეილ ფანჩულიძე ლამაზად ატა და გამარჯვებული ჩამოხტა

ერთვნულ ჩემპიონატში მდარე კალათბურთის მაცქერალმა ქართველმა ქომაგმა გუშინ ცოტა თვალებში გამოიხედა. სიმართლე ითქვას, არც ამ ოლ სტარში ყოფილა მაღალი დონე, თუმც ეფექტური შეტევები, ბლომად სამქულიანები და ბითუმად ჩატენილი ბურთები ფრიად შთამბეჭდავი სანახავი გამოვიდა. ამდენი ქომაგთი და ასეთი ოვაციები, გუშინ ვერის ბაღში რომ იყო, ამ სეზონში პირველად ვნახეთ და მოვისმინეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ დონის საკალათბურთო ზეიმი, საქართველოს შიდა ჩემპიონატს რომ ეკადრება, ვეგმის გადამეტებით შედგა.

როგორც ასეთი ყაიდის მატჩებში, ქართულ ოლ სტარშიც უხვქულიანობა და ეფექტური ბურთაობა იხილა ქომაგმა. თუმც სანამ თამაში „გაიხსნებოდა", საწყის მეოთხედი შედარებით მწირქულიანი და შეუხედავი გამოდგა. თამაშს სანახაობრივი ბიძგი აღმოსავლელებმა მისცეს, უფრო სწორად, მოედანზე ერთბაშად შესულმა მათმა სამარქაფო ხუთეულმა გააკეთა ეს.

„აღმოსავლელი", თუნდაც „დასავლელი" ცოტა ცუდად ხვდება ყურს, რაკი ლიხსიქითა საქართველოდან ჩემპიონატში ორი წარმომადგენელია — „ქუთაისი" და სოხუმის სსუ — თუმც ამ გუნდების არც ერთი მოთამაშე ოლ სტარში არ მონაწილეობდა. გაურკვეველია, რა პრინციპით დაერქვათ ამ მატჩში მონაწილე გუნდებს სახელები, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ქომაგმა კარგი სანახაობა იხილა.

ჰოდა, შევიდა ერთბაშად 5 აღმოსავლელი მოედანზე და ჩატენვა-შურდულპასებსაც დაედო სათავე. ჟოლივეტ ტუჯანი იყო ის კალათბურთელი, პირველმა რომ ჩატენა და ოლ სტარის მარიფათიან მონაწილეებს „ფრენის" მადა გაუხსნა.

„დასავლეთი" შედარებით პრაგმატულად თამაშობდა და ზედმეტი პრანჭვა-გრეხის გარეშე იხვეჭდა ქულებს. ასეთმა ბურთაობამ ლიხსიქითელებს მეოთხედი კი მოაგებინა, თუმც იმასაც მიახვედრა, რომ ამგვარი თამაშით მაყურებელთან ხელმართლები არ იქნებოდნენ. ჰოდა, დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო. აღმოსავლელებმა მეორე მეოთხედში მიჯრით 5 შეტევა დაგვირგვინეს ეფექტური ჩატენვით, რამაც მათ ლიდერობა მოუტანა.

მსაჯებს საქმე თითქმის არ ჰქონიათ, მხოლოდ შეცვლებისა და მეოთხედების ამოწურვის დროს უსტვენდნენ. ზაზა მაჩალაძემ ამ „უსაქმურობას" თავი იმით დააღწია, რომ დასავლელების გზაანეულ პასს დასწვდა, პირით ხაზს მიღმიდან მოედანზე დააბრუნა და თამაში გააგრძელეთო, ანიშნა გაოცებულ კალათბურთელებს.

ერთი სიტყვით, მოთამაშეებმაც იხალისეს, მსაჯებმაც და, ცხადია, მაყურებლებმაც. ისე, ნაკლებად საინტერესოა, თუმც „აღმოსავლეთმა" 130:123 იმარჯვა.

## სამქულიანების კონკურსი

სნაიპერთა შეჯიბრი ირაკლი ბერიშვილმა მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ საოჯახო ტრადიცია გრძელდება. შარშან სამქულიანების შეჯიბრში ირაკლის ტყუპისცალმა დათომ იმარჯვა, თუმც წლეულს მას ტიტული არ დააცვევინეს — ლამის სამი თვე ტრავმის გამო არ უთამაშია. ამ შეჯიბრში კი ჩემპიონატის ყველაზე ჩუბინი მსროლელები მონაწილეობდნენ.

ბერიშვილმა ნახევარფინალში 21 ქულა მოიხვეჭა, ფინალის მოსაგებად კი 19-იც ეყო. მის მოცილე გოჩა წოწელიას ძალიან არ გაუმართლა, 18 ქულა რომ დაუგროვდა, კიდევ ორი სროლა ჰქონდა, თუმც... სხვათა შორის, ირაკლი ბერიშვილმა საოლსტარო მატჩშიც დაამტკიცა, რომ ბასრი ხელი აქვს: 9 ცდიდან 5 სამიანი ჩააგდო.

## ჩატენვების კონკურსი

დამსახურებულად იმარჯვა ხალხის რჩეულმა — უმრავლესობა მიშა ფანჩულიძეს ქომაგობდა და ამ ზამბარისებური კიდურების მქონე ყმაწვილმა ულაპარაკოდ აჯობა ყველა კონკურენტს. არადა, ის იყო ყველაზე ტანმორჩილი მონაწილე: დავით იმნაძეზე, გივი ვაშაკიძესა და ჟოლივეტ ტუჯანიზე მიშა ერთი თავით დაბალია, მაგრამ ისე დაბზრიალდა ჰაერში და ისე ლაზათიანად ჩააჭედა ბურთი კალათში, რომ ჟიურის წევრებს მაქსიმალური შეფასების ზეაღმართვის გარდა სხვა გზა არ ჰქონდათ.

**ირაკლი ბერტაია**

ვერავ დოლენჯაშვილის ფოტო

ვარსკვლავთჩუბინი ირაკლი ბერიშვილი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ზაზა ფაჩულიამ „მილუოკისთან" ორმაგი დუბლი შეასრულა

14 აპრილი

**ატლანტა 110:116 შარლოტი**

**ატლანტა:** ჯონსონი (35), აივი, უილიამსი (22), ჯ. სმიტი (17), ფაჩულია (29 წუთი, 12 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება); ლუ (19), გრანდი (3), დ. სმიტი (2), ბატისტა

**შარლოტი:** ჯონსი (8), ფელტონი (27), ანდერსონი (15), უოლესი (9), ბრეჟენცი (14); ელი (21), კერროლი (17), ბურლესონი (5), ბაქსტერი, ვოსკული

**გოლდენ სტეიტი 110:102 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** ფიშერი (19), რიჩარდსონი (27), დანლივი (18), ელისი (12), ბიედრინსი; ჩაბარკაპა (12), დიგუ (10), ბინუმი (6), ჩეინი (6)

**ფინიქსი:** ბარბოსა (20), დიავი (11), ბ. გრანტი (4), მერიონი (31), ტ. ტომასი (7); ჰაუსი (15), ჯონსი (8), ცაძიტიშვილი (15 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი), ბურკი

**ტორონტო 108:103 დეტროიტი**

**ბოსტონი 74:79 ნიუ ჯერსი**

**მაიამი 104 85 ფილადელფია**

**ინდიანა 89:77 მინესოტა**

**ნიუ იორკი 80:97 მილუოკი**

**ნიუ ორლეანი 104:105 იუტა**

**ჩიკაგო 103: 101 ვაშინგტონი**

**ლეიკერსი 110:99 პორტლენდი**

**სიეტლი 97:101 კლიპერსი**

15 აპრილი

**მილუოკი 114:120 ატლანტა**

**მილუოკი:** ფორდი (9), რედი (36), საიმონსი (18), მალუა (8), ბოგუტი (24); ბელი (10), მ. უილიამსი (4), გაძურიჩი (3), კუკოჩი (2)

**ატლანტა:** ჯონსონი (15), აივი (4), მოუილიამსი (19(, ჯ. სმიტი (28), ფაჩულია (33 წუთი, 16 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა); დ. სმიტი (15), ლუ (14), გრანდი (7), ედვარდსსი (2), ბატისტა

**ორლანდო 102:97 ფილადელფია**

**დენვერი 82:100 საკრამენტო**

**შარლოტი 92:91 ინდიანა**

**ჰიუსტონი 81:93 მემფისი**

**პორტლენდი 81:86 გოლდენ სტეიტი**

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

14 აპრილი

**კაროლინა 5:4 ტამპა**

*2:2 2:2 0:0 0:0*

*1:0 ბულიტების სერიაში*

1:0 უილიამსი (1), 1:1 პროსპალი (14), 2:1 სტილმანი (17), 2:2 ფედოტენკო (19), 2:3 სან ლუი (23), 3:3 ბრინდამორი (23), 3:4 რიჩარდსი (28), 4:4 უეიტი (33), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: კალენი

15 აპრილი

**დალასი 4:3 მინესოტა**

*1:1 2:0 0:2 1:0*

0:1 მ. კოიუ (14), 1:1 რობიდა (20), 2:1 მოროუ (26), 3:1 მიუტინენი (27), 3:2 ჯენსანდლი (48), 3:3 გაბორიკი (48), 4:3 დეილი (65)

**ატლანტა 4:3 ბოსტონი**

*2:2 0:1 2:0*

0:1 ჩერკავსკი (8), 0:2 შტურმი (11), 1:2 სატონი (12), 2:2 სლეიტერი (17), 2:3 გრინი (26), 3:3 მელანში (46), 4:3 სატონი (50)

**ფილადელფია 4:1 რეინჯერსი**

*2:0 2:1 0:0*

1:0 კნუბლი (9), 2:0 დიმიტრაკოსი (19), 3:0 უმბერგერი (26), 4:0 ნედვედი (30), 4:1 ჰოსა (32)

**სან ხოსე 6:3 ანაჰაიმი**

*3:0 2:1 1:2*

1:0 ჯ. ტორნტონი (1), 2:0 ჩიჩუ (12), 3:0 ბერნიე (16), 4:0 ჩიჩუ (21), 4:1 გეცლაფი (31), 5:1 ეკმანი (38), 5:2 ლუპული (48), 5:3 მაკდონალდი (49), 6:3 ჩიჩუ (60)

**აილენდერსი 5:4 პიტსბურგი**

*1:1 3:2 0:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

0:1 გონჩარი (9), 1:1 ბლეიკი (12), 2:1 ბლეიკი (21), 3:1 შატანი (22), 3:2 ლეკლერი (31), 4:2 კოლიტონი (35), 4:3 ლეკლერი (40), 4:4 ჰილბერტი (59), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: ნილსონი

**მონრეალი 2:4 ბუფალო**

*0:1 2:0 0:3*

0:1 აფინოგენოვი (11), 1:1 რაიდერი (38), 2:1 კომისარეკი (39), 2:2 დრური (45), 2:3 დიუმონი 47), 2:4 ნუმინენი (60)

**ტორონტო 5:1 ოტავა**

*1:0 4:0 0:1*

1:0 კაბერლე (2), 2:0 სტეიჯენი (26), 3:0 კილგერი (37), 4:0 სუნდინი (38), 5:0 ანტროპოვი (40), 5:1 ჰიტლი (47)

**კოლუმბუსი 5:2 ჩიკაგო**

*2:0 0:2 3:0*

1:0 ფრიჩე (8), 2:0 ჰარტიგანი (14), 2:1ლკოლდერი (24), 3:2 ვიბორნი (45), 4:2 ვიბორნი (55), 5:2 ნეში (58)

**ფლორიდა 1:2 ვაშინგტონი**

*0:0 1:1 0:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 რობერტსი (26), 1:1 ოვეჩკინი (34), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: პეტინგერი

**ტამპა 3:2 კაროლინა**

*1:0 0:0 1:2 1:0*

1:0 რიჩარდსი (10), 2:0 მოდინი (47), 2:1 სტილმანი (49). 2:2 კალენი (52), 3:22 სან ლუი (65)

**სენტ ლუისი 2:3 დეტროიტი**

*1:2 1:0 0:1*

0:1 ლიდსტრიომი (8), 0:2 შენაპანი (11), 1:2 სტემპნიაკი (16), 2:2 მაიერსი (27), 2:3 ზეტერბერგი (60)

**ნეშვილი 5:1 ფინიქსი**

*0:0 3:0 2:1*

1:0 ერატი (21), 2:0 ჰარტნელი (21), 3:0 პერო (30), 3:1 ზაიდენბერგი (50), 4:1 აპშოლი (51), 5:1 მეისონი (51)

**ვანკუვერი 4:3 კოლორადო**

*0:1 2:0 1:2 1:0*

0:1 ტანგეი (20), 1:1 ბერტუცი (23), 2:1 ნესლუნდი (34), 2:2 ტარჯონი (49), 2:3 ტანგეი (58), 3:3 კარტერი (60), 4:3 მორისონი (65)

**ლოს ანჯელესი 2:1 კალგარი**

*0:0 0:0 1:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

1:0 დემიტრა (42), 1:1 ლუნდმარკი (51), 2:1 გადამწყვეტი ბულიტი: დემიტრა

**20-წლამდელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.** სპორტის სასახლე. 14-16 აპრილი

15 აპრილი

**საქართველო 23:22 კვიპროსი**

